გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების ბუღალტრული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16 მნიშვნელობას არ ცვლის ბასს 17-ის მოთხოვნებს და აძლევს საშუალებას იჯარის გამცემს იჯარა საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად ჩაითვალოს.

გარდა ამისა, ფასს 16 მასშტაბურ განმარტებებსაც მოითხოვს.

რაც შეეხება ფინანსურ იჯარას, კომპანიას ფინანსური იჯარა არ გააჩნია, ხოლო ისეთ შემთხვევებში, როდესაც კომპანია არის მეიჯარის როლში (როგორც საოპერაციო, აგრეთვე ფინანსურ იჯარაში), კომპანიის მენეჯმენტი არ ვარაუდობს, რომ ფასს 16-ის ამოქმედებას შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე. თუმცა, ამჟამად ამ სტანდარტის ეფექტის სათანადო შეფასება, დეტალური ანალიზის გარეშე, გონივრული არ იქნებოდა.

ფაისკ 22 „სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება“

ფაისკ 22 არეგულირებს აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის თავდაპირველი აღიარებისას გამოსაყენებელი გაცვლითი კურსის დასადგენად „ტრანზაქციის თარიღის“ განსაზღვრას, როდესაც ამ ერთეულის ანაზღაურება წინასწარ გადახდილი ან მიღებულია უცხოურ ვალუტაში და ამან გამოიწვია არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების (მაგალითად, არაანაზღაურებადი დეპოზიტის ან გადავადებული შემოსავლის) აღიარება.

ინტერპრეტაცია აკონკრეტებს, რომ ტრანზაქციის თარიღი არის ის დღე, როდესაც კომპანია პირველად აღიარებს საავანსო ანაზღაურების გადახდიდან ან მიღებიდან წარმოშობილ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თუ საქმე ეხება რამდენიმე საავანსო გადახდას ან გადახდის მიღებას, ინტერპრეტაცია კომპანიებს ავალდებულებს, ტრანზაქციის თარიღი დაადგინოს საავანსო ანაზღაურების გადახდის ან მიღების თითოეული შემთხვევისათვის.

ინტერპრეტაცია ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება დაშვებულია. კომპანიებს ინტერპრეტაციის გამოყენება შეუძლიათ

შპს „აჭარ ენერჯი 2007“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის

რეტროსპექტიულად ან პროსპექტიულად. პროსპექტიული გამოყენებისას ძალაში შედის კონკრეტული გარდამავალი დებულებები.

კომპანია არ ელის, რომ ფაისკ 22-ის გამოყენებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე, რადგან კომპანია ამჟამად უკვე იყენებს ამ ინტერპრეტაციაში აღწერილ მიდგომას.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი

წლიური რედაქტირებების პაკეტის ფარგლებში ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი მოიცავს რამდენიმე სტანდარტის შესწორებას.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები. ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ ერთობლივი კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა არ უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ადრე ფლობილი წილები.

ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდების (ანუ მოგების განაწილების) მოგების გადასახადზე მოქმედი შედეგები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში უნდა აღიარდეს იმის მიუხედავად, თუ როგორ წარმოიშვა გადასახადი.

ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

მენეჯმენტი არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „აჭარ ენერჯი 2007“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

5. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	ჰესი	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება 31 დეკემბერი 2017	7 337 736	169 114 428	208 916 432	98 680	-	4 084 760	420 881	176 426	390 149 342
გადატანა		(224 587 649)							(224 587 649)
ჩამოწერა	-								-
კაპიტალიზაცია		55 473 222							
შესყიდვა	802 809		207 401 200	71 387	1 159 849	69 092	7 971	-	209 512 309
ღირებულება 31 დეკემბერი 2018	8 140 545	-	416 317 633	170 067	1 159 849	4 153 852	428 852	176 426	375 074 003
შესყიდვა	665 294			36 416	458 166	2 736	6 780	254 779	1 424 171
გადატანა		(1 322 908)							(1 322 908)
ჩამოწერა			30 875 701						30 875 701
კორექტირება			(15 432 787)						(15 432 787)
კაპიტალიზაცია		1 322 908							1 322 908
ღირებულება 31 დეკემბერი 2019	8 805 839	-	431 760 547	206 482	1 618 015	4 156 589	435 632	431 205	447 414 310
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2017			(14 522 532)	(16 993)		(974 468)	(279 004)	(99 555)	(15 892 552)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018	-	-	(35 290 355)	(24 836)	(49 018)	(1 349 098)	(327 947)	(124 908)	(37 166 161)
კორექტირება	-	-	302 280						
მიმდინარე წლის ცვეთა	-	-	(33 970 482)	(12 337)	(147 561)	(354 622)	(34 060)	(49 854)	(34 568 915)
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2019	-	-	(68 958 556)	(37 173)	(196 580)	(1 703 720)	(362 007)	(174 761)	(71 432 797)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2017	7 337 736	169 114 428	194 393 901	81 686	-	3 110 292	141 877	76 871	374 256 790
31 დეკემბერი 2018	8 140 545	-	381 027 278	145 231	1 110 831	2 804 755	100 905	51 518	393 381 063
31 დეკემბერი 2019	8 805 839	-	362 801 991	169 309	1 421 436	2 452 869	73 626	256 443	375 981 513

შპს „აჭარ ენერჯი 2007“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

5. ძირითადი საშუალება (გაგრძელება)

კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები არ არის იპოთეკით დატვირთული, სესხის უზრუნველსაყოფად.

კომპანიას გააჩნია ორის ჰესი, ესენია კირნათი ჰესი და ხელვაჩაური ჰესი, რომელიც მდებარეობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, კერძოდ ხელვაჩაურის რაიონში. აღნიშნული ჰესებისათვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით წლიურ სარგებლობაში გადაცემის საფასურად აღნაგობის უფლებით გადაეცა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები.

კომპანიამ განახორციელა ძირითადი საშუალების „ჰესის“ ჯგუფის ცვეთის კორექტირება, გამომდინარე 2017 და 2018 წლებში მომხდარი სესხებისა და სესხზე დარიცხული პროცენტის ხარჯის რეკვალიფიკაციის შედეგად. ასევე, გადაკვალიფიცირდა უცხოურ ვალუტაში გამოხატული სესხისა და მასზე დარიცხული საპროცენტო ვალდებულების გადაფასების ხარჯები. ნაწილობრივ შემცირდა თვითღირებულება და გაიზარდა პერიოდის ხარჯები, რამაც გამოიწვია აქტივის (ჰესი) ღირებულების ცვლილება.

6. სავაჭრო მოთხოვნები და ავანსები

2019 და 2018 წლების მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს 9 767 727 და 10 203 117 ლარს. კომპანიას მსხვილი სავაჭრო მოთხოვნა გააჩნია სს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის წინაშე.

2019 და 2018 წლების მდგომარეობით კომპანიას გადახდილი ავანსების სახით გააჩნია, მიწის მესაკუთრეებზე წინასწარ გადახდილი თანხები, რომელიც შესაბამისად შეადგენს 1 805 880 და 1 419 778 ლარს.

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოადგენს მიმდინარე დებიტორულ დავალიანებას და ასახულია რეალური ღირებულებით.

7. ფული და ფულის ექვივალენტები

2019 და 2018 წლების ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	2019	2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	15 277	10 698
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1 024 671	1 722 461
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	531 573	257 386
უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში	195 837	23 079
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვი.	1 767 358	2 013 623

ფულადი ნაშთები შეესაბამება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულ ნაშთებს 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით..

შპს „აჭარ ენერჯი 2007“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

8. მარაგები

2019 და 2018 წლების მდგომარეობით, კომპანიას მარაგების სახით გააჩნია ჰესის მშენებლობის დროს ნაშთად დარჩენილი სამშენებლო მასალები, რომელიც გამიზნულია გასაყიდად. მარაგების ნაშთი შესაბამისად წარმოადგენს 774 374 და 812 902 ლარს.

9. სხვა მიმდინარე აქტივები

2019 და 2018 წლების მდგომარეობით, სხვა მიმდინარე აქტივების სახით კომპანიას გააჩნია სესხზე დარიცხული პროცენტის საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეთანხმების საფუძველზე კომპანიას დაუბრუნდება თურქული მხარის მიერ, რომელიც შესაბამისად წარმოადგენს 4 910 428 და 4 520 458 ლარს .

10. საწესდებო კაპიტალი

შპს „აჭარ ენერჯი 2007“ („კომპანია“) საწესდებო კაპიტალი შეადგენს 20 000 000 ლარს.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მფლობელია

სს „ეკსიმ იათირიმ ჰოლდინგი“ , თურქეთი - 30 %

სს "ინჯესუ გაირიმენქულ იათირიმ სანაი ვე თიჯარეთ" – 46 %

აბდულლაჰ თივინიქლი ისრარის ფონდი, თურქეთი , - 24 %

საზოგადოების დივიდენდების განაწილების პრინციპი განისაზღვრება პარტნიორთა მიერ დამტკიცებული წლიური ბალანსის საფუძველზე საზოგადოების სამუშაო კაპიტალის, კაპიტალური დანახარჯების, დავალიანებისა და სხვა ფინანსური მოთხოვნების გათვალისწინებით.

11. სავაჭრო ვალდებულებები

2019 და 2018 წლების მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს 11 053 763 და 13 252 580 ლარს. ძირითად სავაჭრო ვალდებულებას წარმოადგენს არარეზიდენტი საწარმოების მიმართ დავალიანება, წარმოშობილი ჰესის მშენებლობის დროს.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს მიმდინარე დავალიანებას და ასახულია რეალური ღირებულებით.

შპს „აჭარ ენერჯი 2007“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

2019 და 2018 წლების მდგომარეობით, კომპანიას გრძელვადიანი სესხით სახის გააჩნია არარეზიდენტ ბანკებში არსებული სასესხო ვალდებულებები, რომლის მიზნობრიობაც იყო ჰესების მშენებლობა. წლების მიხედვის სასესხო დავალიანება შეადგენს 530 302 964 და 462 783 460 ლარს.

კომპანიის დასახელება	ვალუტა	საპრო- ცენტო განაკვეთი	ვადაიანობა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
DICLE ELEKTRİK DAGITIM A.S	USD	4.0%	31.12.2019	288 940 884	
DICLE ELEKTRİK DAGITIM A.S	EUR	3.0%	31.12.2019	48 132 872	
KÖK ELEKTRİK ENERJİ A.Ş./Dicle KOK ENERJİ yatırım	USD	7.0%	31.12.2019	81 213 783	69 543 906
ALBARAKA TURK KATILIM BANKASI A.S.	USD	5.88%	07.10.2024	68 316 511	75 737 457
TURKIYE FINANS KATILIM BANKASI A.S.	USD	5.76%	29.09.2022	23 910 530	29 166 620
KÖK ELEKTRİK ENERJİ A.Ş./Dicle KOK ENERJİ yatırım	EUR	4.3%	15.01.2020	62 802 671	56 728 519
ECC FINANCE AND INVESTMENT B.V.	USD	6.0%	01.12.2023	-	23 018 760
INCESU GAYRIMENKUL A.S. (ჰოლდინგის სესხები)	USD	7.0%	31.12.2018	12 904 650	12 044 700
სს ექსიმ იათირიმ ჰოლდინგი	EUR	5.3%	31.12.2018	-	41 219 698
Dijle Elektrik Perakende Satis A.S.	USD	7.0%	31.12.2018	-	221 369 657
Dijle Elektrik Perakende Satis A.S.	EUR	4.3%	31.12.2018		1 473 648
სულ სესხები				586 221 900	530 302 964

გრძელვადიანი სესხები ასახულია რეალური ღირებულებით.

13. სხვა ფინანსური ვალდებულებები

2019 და 2018 წლების მდგომარეობით, კომპანიას სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით გააჩნია გადასახდელი პროცენტის თანხები, რომელიც წარმოადგენს წლების მიხედვით 45 228 409 და 24 437 551 ლარს.

კომპანიის დასახელება	ვალუტა	საპრო- ცენტო განაკვეთი	ვადაიანობა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
DICLE ELEKTRİK DAGITIM A.S	USD	4.0%	31.12.2019	4 932 481	-
DICLE ELEKTRİK DAGITIM A.S	EUR	3.0%	31.12.2019	192 095	
KÖK ELEKTRİK ENERJİ A.Ş./Dicle KOK ENERJİ yatırım	USD	7.0%	31.12.2019	6 856 304	1 127 790
ALBARAKA TURK KATILIM BANKASI A.S.	USD	5.88%	07.10.2024	1 591 657	1 687 921
TURKIYE FINANS KATILIM BANKASI A.S.	USD	5.76%	29.09.2022	166 337	203 198
KÖK ELEKTRİK ENERJİ A.Ş./Dicle KOK ENERJİ yatırım	EUR	4.3%	15.01.2020	5 272 053	2 403 199
ECC FINANCE AND INVESTMENT B.V.	USD	6.0%	01.12.2023	-	5 661 098
INCESU GAYRIMENKUL A.S. (ჰოლდინგის სესხები)	USD	7.0%	31.12.2019	4 318 405	2 978 974
სს ექსიმ იათირიმ ჰოლდინგი	EUR	5.3%	31.12.2021		153 895
Dijle Elektrik Perakende Satis A.S.	USD	7.0%	31.12.2019	21 648 186	10 265 251
Dijle Elektrik Perakende Satis A.S.	EUR	4.3%	31.12.2019	110 693	19 302
სულ სესხები				45 088 211	24 500 629

შპს „აჭარ ენერჯი 2007“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

14. შემოსავალი

კომპანიის შემოსავლები შედგება ელექტრო ენერგიის რეალიზაციისგან, რომელიც 2019 და 2018 წლებში 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 28 780 560 და 21 332 130 ლარს.

	2019	2018
შემოსავალი ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციით	27 251 097	19 997 666
შემოსავალი ექსპორტიდან	1 529 463	1 334 464
სულ შემოსავალი	28 780 560	21 332 130

15. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება :

	2019	2018
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	21 586 263	17 608 436
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	269 352	529 880
სულ არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი, წმინდა	21 855 615	18 138 315

	2019	2018
ხარჯი საკურსო სხვაობიდან	61 689 681	32 185 160
საპროცენტო ხარჯი	32 093 293	19 742 681
სხვა არასაოპერაციო ზარალი	321 658	152 381
სულ არასაოპერაციო/ფინანსური ხარჯი, წმინდა	94 104 632	52 080 221

16. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები ანგარიშგების თარიღისთვის.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური,

პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

17. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

	2019	2018
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	1 767 358	2 013 623
სავაჭრო მოთხოვნები	9 767 727	10 203 117
	11 535 086	12 216 739
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	11 053 763	13 252 580
მიღებული სესხები	586 221 900	530 302 964
	597 275 663	543 555 544

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტთან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები

რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

შპს „აჭარ ენერჯი 2007“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და 2019 და 2018 წლების არის შემდეგი:

31.12.2018	GEL	USD USD 1 = 2.6766 GEL	EUR EUR 1 = 3.0701 GEL	TL TL 1 = 0,5076	ჯამი
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტი	1 733 158	279 940	350	174	2 013 623
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10 203 117	-	-	-	10 203 117
ფინანსური აქტივები, სულ	11 936 275	279 940	350	174	12 216 739
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4 952 705	8 258 018	41 858	-	13 252 580
მიღებული სესხი		530 302 964	-	-	530 302 964
ფინანსური ვალდებულებები, სულ	4 952 705	538 560 981	41 858	-	543 555 544
ღია სავალუტო პოზიცია	6 983 570	(538 281 042)	(41 507)	174	(531 338 804)

31.12.2019	GEL	USD USD 1 = 2.8677 GEL	EUR EUR 1 = 3.2095 GEL	TL TL 1 = 0,4821	ჯამი
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტი	1 039 948	428 894	297 645	871	1 767 358
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9 767 727				9 767 727
ფინანსური აქტივები, სულ	10 807 675	428 894	297 645	871	11 535 086
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 025 447	8 976 236	52 080		11 053 763
მიღებული სესხები		475 286 357	110 935 542		586 221 899
ფინანსური ვალდებულებები, სულ	2 025 447	484 262 593	110 987 622	-	597 275 662
ღია სავალუტო პოზიცია	8 782 229	(483 833 699)	(110 689 977)	871	(585 740 576)

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჰქირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, კომპანიას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაუპროცესირებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

18. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიის მიერ 2018-2019 წლებში ელექტროენერგია გატანილი აქვს ექსპორტზე და შესაბამისად შემოსავალი მიღებული აქვს დაკავშირებულ მხარისაგან. 2019-2018 წლების მიხედვით საერთო შემოსავალში წილობრივი მაჩვენებელი შემდეგნაირია:

	2019	2018
შემოსავალი ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციით	95%	94%
შემოსავალი დაკავშირებულ მხარესთან	5%	4%
სულ შემოსავალი	100%	100%

19. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება

ბასს 23 - „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების“ თანახმად, აშენებული/მშენებარე ჰესები კომპანიისთვის განსაკუთრებულ აქტივებს წარმოადგენს და ამიტომ მათ თვითღირებულებაში შეტანილი უნდა იქნეს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები (უცხოურ ვალუტაში გამოხატული საპროცენტო ვალდებულებების გადაფასების სავალუტო საკურსო სხვაობების ჩათვლით).

2017 და 2018 წლებში მოხდა სესხებისა და სესხზე დარიცხული პროცენტის ხარჯის რეკვალიფიკაცია. ასევე, გადაკვალიფიცირდა უცხოურ ვალუტაში გამოხატული სესხისა და მასზე დარიცხული საპროცენტო ვალდებულებების გადაფასების ხარჯები. ნაწილობრივ შემცირდა თვითღირებულება და გაიზარდა პერიოდის ხარჯები, რამაც გამოიწვია აქტივის (ჰესი) ღირებულების ცვლილება.

20. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. კომპანიას გააჩნია გარანტირებული გაყიდვები და შესაბამისად ნაღდი ფულის შემოდიანები, რადგანაც ელექტრო სადგურის მშენებლობა, ექსპლოატაცია და ელექტრო ენერგიის გამომუშავება, მისი მასშტაბები და ინვესტიციის მოცულობა მნიშვნელოვანია რეგიონისა და ქვეყნისათვის.

2019 წლის ბოლოს და 2020 წლის დასაწყისში გამოჩნდა არსებითი ინფორმაცია მსოფლიო მასშტაბით კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პანდემია მსოფლიო ეკონომიკის შემაფერხებელ ძალად იქცა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეფექტის შეფასება კომპანიის მომავალი ფუნქციონირების ასპექტში. ვინაიდან კომპანია ოპერირებს ენერგო წარმოება-რეალიზაციის სფეროში COVID-19 – ის პანდემიასთან დაკავშირებულ გლობალურ მოვლენებს გავლენა არ მოუხდენია. კომპანია განაგრძობდა საქმიანობას ჩვეულებრივი რეჟიმითა და დატვირთვით.

21. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2020 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით სს "ინჯესუ გაირიმენქულ იათირიმ სანაი ვე თიჯარეთ-ის მმართველთა საბჭოს გადაწყვეტილები მოხდა მისი კუთვნილი– 46 % წილის გასხვისება/გადაცემა სს „ეკსიმ იათირიმ ჰოლდინგი - ზე“.

შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის მმართველობითი
ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

01.01.2019-31.12.2019

ქ. ბათუმი

2021

შპს „აჭარ ენერჯი-2007,,

შპს „აჭარ ენერჯი-2007,, 2007 წელს დაფუძნდა. მისი ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობა ოპერირებას. დღეის მდგომარეობით მისი კაპიტალი შეადგენს 20 000 000 ლარს, ხოლო განხორციელებული ინვესტიცია ჯამურად შეადგენ 250 000 000 დოლარს, კომპანიის 76% წილის მფლობელია სააქციო საზოგადოება "ეკსიმ იათირიმ ჰოლდინგი" ხოლო 24% წილის მფლობელია აბდულლაჰ თივინიქლი ისარის ფონდი

შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის დირექტორები:

საბაჰათონ ერ	34373160344, U04586290	თურქეთი
ისმაილ იასინ ერქან	51172346526, U02916871	თურქეთი
ჩაღათაი ულქერ	21659518210, U06027407	თურქეთი

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ დეკლარირებული მიზანია ენერგო-დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად ქვეყანა მიისწრაფვის არსებული ენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალური ათვისებისკენ; ძირითადი ყურადღება ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისებას ეთმობა.

მდინარე ჭოროხზე და მდინარე აჭარისყალზე დაგეგმილი ჰესების პროექტები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მდინარე ჭოროხზე ჰიდროელექტროსადგურების¹ მშენებლობის შესახებ საქართველოს მთავრობასა და თურქულ კომპანია „აჭარ ენერჯი 2007“-ს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმში 2008 წელს დაიდო. მემორანდუმში მოხსენიებული შვიდი ჰესიდან დღეს სამი - კირნათი ჰესის, ხელვაჩაური I და II ჰესები - განხორციელდა. პროექტი ითვალისწინებდა მდინარე ჭოროხზე სამი რკინა-ბეტონის კაშხლის (კირნათი - ზღვის დონიდან 54.5 მ; ხელვაჩაური I - 42.5 მ და ხელვაჩაური II - 32.5 მ) მოწყობას, რომელთა საერთო სიმძლავრემ უნდა შეადგინოს 113 მგვტ (კირნათი - 35 მგვტ; ხელვაჩაური I - 42 მგვტ და ხელვაჩაური II - 36 მგვტ). პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მიწის საერთო ფართობი დაახლოებით 2.5 კვ.კმ-ს შეადგენს, საიდანაც დაახლოებით 2.25 კვ.კმ ფართობი დაიფარება წყლით. დატბორვის ზონაში ყვება სოფელ ერგეს, მახოს, მირვეთის, აჭარისწყლის, მარადიდისა და კირნათის მოსახლეობის კუთვნილი მიწის ნაკვეთები;

თურქული კომპანია „აჭარ ენერჯი 2007“-ის მიერ განახორციელა მდ. ჭოროხის ბოლო 21 კმ-იან მონაკვეთზე ზ.დ. 21 და 53 ნიშნულებს შორის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კალაპოტური ტიპის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობა. კასკადის შემადგენლობაში შედის კირნათის, ხელვაჩაური I-ის და ხელვაჩაური II-ის ჰესები.

კომპანიამ დაგეგმილ პროექტში შეიტანა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, ხელვაჩაური I ჰესის პროექტში მოხდა ტურბინების განთავსების დონეების დაწევა 1-1.5 მეტრით, ხელვაჩაური II ჰესის პროექტი კი, საერთოდ შეიცვალა და ნაცვლად კალაპოტური ტიპის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა, იგეგმება ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დერივაციული ტიპის ჰესის მოწყობა.

ხელვაჩაური I ჰესის დადგმული სიმძლავრე 42 მვტ-დან იზრდება 48 მვტ-მდე, ხოლო ხელვაჩაური II ჰესის დადგმული სიმძლავრე მცირდება 36.38 მვტ-დან 28.93 მვტ-მდე. ისევე როგორც თავდაპირველ პროექტში, ხელვაჩაური I ჰესის პროექტი

42.5 მ სიმაღლის რკინა-ბეტონის კაშხლის აშენებას; ხელვაჩაური II ჰესის პროექტი კი, თავდაპირველი პროექტისგან განსხვავებით, სრულად შეიცვალა. ამჟამად, ნაცვლად კალაპოტური ტიპის ჰესისა, რომელიც ითვალისწინებდა 32.5 მ სიმაღლის რკინაბეტონის კაშხლის მოწყობას, იგეგმება ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დერივაციული ტიპის ჰესის მოწყობა, რომელიც ითვალისწინებს 1300 მეტრის სიგრძის სადერივაციო არხის მოწყობას.

ასევე მოხდება „დაგეგმილი საქმიანობისათვის საჭირო მომსახურე ინფრასტრუქტურის განვითარება“ და ასევე ელექტროენერგიაზე ქვეყნის მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ქვეყნის ენერგოსისტემაში დამატებითი ელექტროენერგიის მიწოდება.

თურქეთის ტერიტორიაზე დაგეგმილი ჰესების გამო, 83%-ით შემცირდება მდ. ჭოროხის საშუალებით ნატანის ტრანსპორტირება შავ ზღვაში. შესაბამისად, გაკეთებულია დაშვება, რომ დამატებითი კაშხლების მშენებლობა საქართველოს ტერიტორიაზე ვეღარ მოახდენს მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას.

2011 წლის 1 ივლისს, საქართველოს მთავრობასა და კომპანიას შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად, კომპანიას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უნდა უზრუნველყო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, მათ შორის „კირნათისა“ და „ხელვაჩაური 1“-ის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ამასთან, „ხელვაჩაური 1 ჰესი“-ს მშენებლობა და ექსპლუატაციაში გაშვება დასრულებულია. ამჟამად, მიმდინარეობს „კირნათი ჰესი“-ს პროექტის სრულად დასრულება.

როგორც წარმოდგენილ დოკუმენტაციაშია მითითებული პროექტი, მისი მასშტაბი და ინვესტიციის მოცულობა მნიშვნელოვანია რეგიონისა და ქვეყნისთვის. იგი პოზიტიურ სოციალურ-ეკონომიკურ გავლენას იქონიებს რეგიონზე და წარმოადგენს საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტს შემდეგი გარემოებების გამო: „ჰესები“-ს საერთო სიმძლავრე მიაღწევს - 98.731 მეგავატს. მთავრობასთან დადებული მემორანდუმის შესაბამისად, კომერციული ოპერირების თარიღიდან ათ წლიან პერიოდში და 8 თვის განმავლობაში (იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი,

ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) გამომუშავებული ელექტროენერგია განკუთვნილი იქნება საქართველოს შიდა მოხმარებისათვის. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ელექტროენერგიის შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილებას და გააუმჯობესებს საქართველოს ენერგობალანსს.

კომპანიის მიერ განხორციელებულია საკმაოდ დიდი ოდენობის ინვესტიცია და მიმდინარე ეტაპზე პროექტის განხორციელებისათვის დასაქმებულია 140 თანამშრომელი, აქედან 107 საქართველოს მოქალაქეა.

ამასთან, კომპანიის ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით როგორც სახელმწიფოსაგან, ისე კერძო მესაკუთრეებისაგან შესყიდულია დაახლოებით 233 მიწის ნაკვეთი.

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2015 წლის 15 იანვრის №02/01-06 ბრძანებით, კომპანიაზე გაიცა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადიდის ტერიტორიაზე, მდინარე ჭოროხზე 51.251 მგვტ სიმძლავრის, ჰიდროელექტროსადგურის - „კირნათი ჰესი“-ს მშენებლობის ნებართვა პირობით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 2 ნოემბრის №89/1 გადაწყვეტილებით ცვლილება იქნა შეტანილი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 20 მარტის №20.1 გადაწყვეტილებით შპს „აჭარ ენერჯი 2007“-ს სახელზე გაცემულ ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიაში (სერია11, №089) და დაემატა „კირნათი ჰესი“.

შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ის პროექტები:

დასრულებული პროექტები:

1. ხელვაჩაური-1 ჰესი



ხელვაჩაურის რ-ნი სოფ. ერგეს მიმდებარედ მდებარე 47.480 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტრო სადგური. ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა დაიწყო 2012 წელს და ექსპლუატაციაში გაეშვა 2017 წელს.

მიმდინარე პროექტები:

კირნათი ჰესი

51.251 მგვტ სიმძლავრის კირნათი ჰესის მშენებლობა დაიწყო 2012 წელს, ხოლო

ნაწილობრივ ექსპლუატაციაში გაეშვა 2018 წლის ნოემბერში.



შპს აჭარ ენერჯი-2007 დაფუძნების დღიდან ახორციელებს ინვესტიციას ენერგეტიკის დარგში. წარმატებულად დაასრულა ხელვაჩაური-1 ჰესის მშენებლობა, რომელიც ყოველწლიურად დაახლოებით 170 გვტ საათი მოცულობის ელექტროენერგიას გამოიმუშავებს და აწვდის საქართველოს ელექტროსისტემას.

კირნათი ჰესი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ ექსპლუატაციაშია. სრული დატვირთვის შემთხვევაში მისი საორიენტაციო წლიური გამოიმუშავება იქნება 219 გვტ საათში. ნაწილობრივი ექსპლუატაციის პირობებში მისი საშუალო წლიური გამოიმუშავება შეადგენს 65 გვტ საათს.

თურქულმა კომპანიამ „აჭარ ენერჯი-2007“ დაასრულა ბუნებრივ მოდინებაზე მომუშავე კირნათი ჰესის მშენებლობა, რომლის დადგმული სიმძლავრე 51.3 მგვტია, ხოლო საპროგნოზო გენერაცია - 226 გვტ.სთ. ამჟამად ჰესი ტესტირების. გარდა კირნათი ჰესისა, „აჭარ ენერჯი- 2007“ აგრეთვე ფლობს 47.6 მგვტ.-იან ხელვაჩაურ ჰესს, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს.

თურქეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს „აჭარენერჯი -2007“ განახორცილებს.

კომპანიამ ესკოს ტენდერში საუკეთესო წინანდადება წარადგინა. კომპანია თურქეთიდან საქართველოში ნოემბერში 120.35 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგიას შემოიტანს.

საქართველო ელექტროენერგიას ძირითადად, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან ყიდულობს.

წლიურ ჭრილში იმპორტის დაახლოებით 60% აზერბაიჯანზე მოდის, 40% კი - რუსეთზე.

„იმ შემთხვევაში, თუ შემოთავაზებული ფასი მისაღები აღმოჩნდება, ელექტროენერგიის მესამე იმპორტიორი ქვეყანაც გვეყოლება, თურქეთის სახით. ეს ასევე ხელს შეუწყობს ბაზრის დივერსიფიკაციის პროცესს და შესაბამისად, ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას,“

კირნათიჰესი

მდებარეობა: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

- ჰესის ზომა: საშუალო
- დადგმული სიმძლავრე: 51.25 მგვტ.
- წლიური გამომუშავება: 219.00 მლნ კვტ/სთ
- ექსპლუატაციაში გაშვების წელი: 2017

ხელვაჩაური 1

მდებარეობა: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

- ჰესის ზომა: საშუალო
- დადგმული სიმძლავრე: 51.25 მგვტ.
- წლიური გამომუშავება: 219.00 მლნ კვტ/სთ
- ექსპლუატაციაში გაშვების წელი: 2017

პროექტებში განხორციელებული ჯამური ინვესტიცია: 94.2 მლნ. აშშ დოლარი
პროექტებში დასაქმებულთა რაოდენობა: 235 კაცი

შპს აჭარ ენერჯი-2007

დირექტორი

ჩაღათაი ულქერ

2021 წლის 31 მაისი

წლიურ ჭრილში იმპორტის დაახლოებით 60% აზერბაიჯანზე მოდის, 40% კი - რუსეთზე.

ამგვარად, ელექტროენერგიის მესამე იმპორტიორი ქვეყანა გვუქვს თურქეთის სახით. ეს ასევე ხელს უწყობს ბაზრის დივერსიფიკაციის პროცესს და შესაბამისად, ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას,

კირნათიჭესი

მდებარეობა: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

- ჰესის ზომა: საშუალო
- დადგმული სიმძლავრე: 51.25 მგვტ.
- წლიური გამომუშავება: დაახლოებით 219.00 მლნ კვტ/სთ
- ნაწილობრივ ექსპლუატაციაში გაშვების წელი: 2018

ხელვაჩაური 1

მდებარეობა: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

- ჰესის ზომა: საშუალო
- დადგმული სიმძლავრე: 47.480 მგვტ.
- წლიური გამომუშავება: დაახლოებით 170.00 მლნ კვტ/სთ
- ექსპლუატაციაში გაშვების წელი: 2017

პროექტებში განხორციელებული ჯამური ინვესტიცია: დაახლოებით 250 მლნ. აშშ დოლარი პროექტებში დასაქმებულთა რაოდენობა: 65 კაცი

შპს აჭარ ენერჯი-2007

დირექტორი

ჩაღათაი ულქერ

2021 წლის 31 მაისი



მოსაზრება სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

შპს აჭარ ენერჯი-2007

მმართველობითი ანგარიშგების უწყისის შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2021 წლის 31 მაისს გამოცემულ „მმართველობითი ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2020 წლის 31 მაისით, გამოცემულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორული დასკვნაში, 2020 წლის 1 ივნისს, არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2020 წლის 31 მაისის შემდეგ. მმართველობითი ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და იმის განსაზღვრას, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებას, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვეცით რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,

მაია ფეიქრიშვილი

აუდიტორი SARAS A-965298

შპს „პრესტიჟ-აუდიტი“ SARAS E-638067

თარიღი: 01.06.2021